საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 11

06 01 2017 წ.

ქ. თბილისი

პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტისა და პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის, თამარ მახარაშვილის, 2017 წლის 05 იანვრის №5654 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 06 იანვრიდან 2017 წლის 12 იანვრის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა)აკადემიური უმაღლესი განათლება - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ.ბ) განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, უმაღლესი განათლების მიმართულებით (უპირატესობა მიენიჭება პირებს, რომელთაც აქვთ როგორც აკადემიური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, ისე, საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მენეჯმენტში მონაწილეობის გამოცდილება);

ა.გ) პროფესიულ კვალიფიკაციათა, პროფესიული სტანდარტების, საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება-განვითარების სპეციფიკის ცოდნა.

ა.დ.) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ა. ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.ვ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ზ) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა).

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება;

ბ.ბ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს განათლების სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებს (და მარეგულირებელ დოკუმენტაციას), რომლებშიც ჩართულია საქართველო.

1.2. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) პროექტის ფარგლებში დასაქმებულ თანამშრომელთა მართვა;

ბ) პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა; სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კოორდინაცია, სამუშაოს შესრულების ხარისხისა და დროულობის კონტროლი;

გ) პროექტის ფარგლებში დასაქმებულ თანამშრომელთათვის საკითხების დელეგირება და შრომის დისციპლინის კონტროლი;

დ) სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული კორესპონდენციების განაწილება, კორესპონდენციებში დასმულ საკითხებზე გადაწყვეტილების დროულად მიღების უზრუნველყოფა;

ე) პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების ინიცირება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) დარგობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკის ანალიზი, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და წინადადებების მომზადება საბჭოების მუშაობის ეფექტურობის და ეფექტიანობის, ასევე, მათი როლის გაზრდის მიზნით;

ზ) ფასილიტატორთა აკრედიტაციის წესის პროექტის მომზადება და აკრედიტაციის პროცესის კოორდინაცია;

თ) აკრედიტებულ ექსპერტთა რეესტრის განვითარება;

ი) ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა პროექტის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად;

კ) ხელმძღვანელის დავალებით სხვა მოვალეობების შესრულება, რომელიც უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტურად წარმართვას.

1.3. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.4. კონკურსის შედეგად დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1785 ლარის ოდენობით.

1.5. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

დ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

ე) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;

ვ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანება - დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

1.6. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იცნობდეს დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებს (ISCO, ISCED).

1.7. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) პროექტების შესრულებისა და ხელმძღვანელობის;

ბ) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების;

გ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

ე) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

ვ) დავალებათა განაწილებისა და დელეგირების;

ზ) დაგეგმვის, ლიდერობის და ხელმძღვანელობის;

თ) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის;

ი) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

კ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

1.8. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) უმაღლესი განათლების სპეციფიკის ცოდნა ან უმაღლესი განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, (უპირატესობა მიენიჭება პირებს, რომელთაც აქვთ როგორც აკადემიური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, ისე საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვაში მონაწილეობის გამოცდილება);

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა).

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს განათლების სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებს (და მარეგულირებელ დოკუმენტაციას), რომლებშიც ჩართულია საქართველო.

1.9. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მუშაობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

ბ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზება, განსახილველი დოკუმენტების გასაჯაროობის უზრუნველყოფა;

გ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების წევრებთან კომუნიკაცია, მათ მიერ გაწეული სამუშაოს აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი;

დ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების სხდომების ორგანიზება და საოქმო უზრუნველყოფა, საბჭოების შემადგენლობის შეფასების/შეცვლის/განახლების პროცესის კოორდინაცია;

ე) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტირების პროცესის უზრუნველყოფა;

ვ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების სამუშაო ჯგუფების ფორმირების და მათი მუშაობის კოორდინაცია;

1.10.უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.11.კონკურსის შედეგად, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1600 ლარის ოდენობით.

1.12.უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

გ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

ე) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 01 სექტემბრის №716 ბრძანება - უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

1.13.უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) დაგეგმვისა და კოორდინაციის;

ბ) სწრაფი რეაგირების;

გ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

ე) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

ვ) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის;

ზ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

თ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

1.14.პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) პროფესიული განათლების სპეციფიკის ცოდნა ან განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა).

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების/ პროექტების მართვის და/ან მათში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ.) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს.

ბ. გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

1.15. პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) პროფესიული დარგობრივი საბჭოების მუშაობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

ბ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზება, განსახილველი დოკუმენტების წინასწარ გასაჯაროების უზრუნველყოფა;

გ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების წევრებთან კომუნიკაცია, მათი მუშაობის აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი;

დ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების სხდომების ორგანიზება და საოქმო უზრუნველყოფა, საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების მონიტორინგი;

ე) პროფესიული დარგობრივი საბჭოების შემადგენლობის შეფასების/შეცვლის/განახლების პროცესის კოორდინაცია;

ვ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საინფორმაციო სემინარის ორგანიზება;

ზ) ფასილიტატორთა ტრენინგების და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა.

1.16.კონკურსის შედეგად პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1340 ლარის ოდენობით.

1.17. პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.18.პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

გ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;

დ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანება დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

1.19. პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იცნობდეს დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებს (ISCO, ISCED).

1.20.პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

ბ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

გ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

დ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

ე) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

1.21. ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.გ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა);

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების/ პროექტების მართვის და/ან მათში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს.

ბ.გ) სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სპეციფიკის ცოდნა.

1.22.ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების შემუშავების პროცესის ორგანიზება და მართვა;

ბ) პროექტის ფარგლებში დაკონტრაქტებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;

გ) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა;

1.23.ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1250 ლარის ოდენობით.

1.24.ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.25.ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ.

1.26.ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

ბ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

გ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

დ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

ე) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

1.27.პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) პროფესიული განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების სპეციფიკის ცოდნა;

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა);

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების/ პროექტების მართვის და/ან მათში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.გ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს.

1.28.პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ახალი პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია;

ბ) პროექტის ფარგლებში დაკონტრაქტებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;

გ) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა;

1.29. პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1600 ლარის ოდენობით.

1.30. პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კორრდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.31. პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კორრდინატორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

გ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;

დ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანება - დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ;

1.32. პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იცნობდეს დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებს (ISCO, ISCED).

1.33. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების;

ბ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

გ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

დ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

ე) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის;

ვ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

ზ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

1.34. დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის მენეჯერის, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის, ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების და შესყიდვების სპეციფიკაციების სპეციალისტისა და პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

1.35.კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

2.დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ მახარაშვილი